ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 ნოემბრის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 21 ნოემბრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 23

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

21 ნოემბერი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა **მანანა ბარბაქაძე** საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

დავით კიკნაძე - საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ,

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ,

ბესიკი კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარი ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი -საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი- ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარე,

თორნიკე ავალიშვილი - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს თავმჯდომარე,

ირმა ვეფხვაძე -ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარე,

სხდომას ესწრებოდნენ: **სათათბირო ხმის უფლებით:**

ქეთევან ზუმბაძე- ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ -ს თავმჯდომარის მოადგილე,

ირმა ვაქერ - სებისკვერაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება –დემოკრატიული საქართველო“ -ს თავმჯდომარის მოადგილე,

კობა გოგსაძე საკრებულოს წევრი ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან

მერიის წარმომადგენელი:

ვარლამ ჭიპაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

ნინო მაღლაკელიძე-ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი

ეკა შავიძე - ა (ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს დირექტორი.

მედიის წარმომადგენლები:

მ. ბაბლიძე -მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომელი,

ე. შავიძე - ა (ა) იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს დირექტორი.

ს. გლუნჩაძე - ოპერატორი

ნ. კაპანაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი“ -ს ჟურნალისტი.

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

მ. შარიქაძე - საკრებულოს აპარატის შტატგარეშე მოსამსახურე,

ი. ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.
   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს

ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

მომხს: ეკა შავიძე

3. ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
   მომხს. ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის განცხადების განხილვა ფრაქციიდან გასვლის შესახებ
   მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 10 წევრი:

მომხრე 10

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს : ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ , მან ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის ბიუჯეტის საშემოსავლო და საგადასახო ნაწილის შესრულების მდგომარეობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ რომელმაც შეკითხვით მიმართა მომხსენებელს სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საახალწლო დახმარებების გაცემის შესახებ

ვ. ჭიპაშვილმა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს 2023 წლის ბიუჯეტში არის გათვალისწინებული

თ. ავალიშვილმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარემ რომელმაც აღნიშნა, რომ სოფელ წყალაფორეთში შეისწავლა ჭაბურღილების საკითხი და აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა არ მოქმედებს, რადგან იქ წყლის დებეტი არ აღმოჩნდა საკმარისი, არსებობდა თუ არა ამ ჭაბურღილების ადგილების შესწავლა გეოლოგების მიერ და თუ იყო გარანტია მათ მიერ გაცემული, თანხა გადახდილია, მოხდება თუ არა უკვე გადახდილი თანხების უკან დაბრუნება და რა ფორმით. ასევე დააყენა წინადადება სოფელ ბეჟათუბანში წყლის მიწოდების საქმეში არსებული პრობლემის თაობაზე და სთხოვა ა.(ა) ი. პირის მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის ხელმძღვანელს ფრაქციასთან ერთად მიეღო მონაწილეობა აღნიშნული ფაქტების გაშუქების საქმეში.

მ. ბარბაქაძემ -საკრებულოს თავმჯდომარემ, აღნიშნა, რომ მან დაავალა საკრებულოს შესაბამის კომისიას ჭაბურღილების საკითხის შესწავლა და ახლა განმეორებით მიუთითა, შეესწავლათ დასახელებული ფაქტები უმოკლეს ვადაში და წარმოედგინათ დასკვნა.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, რომ ჭაბურღილებთან დაკავშირებით გვაქვს პრობლემები , მაგრამ ვერ დავეთანხმები როგორც წარმოადგინეთ, რომ არცერთი ჭაბურღილი არ მუშაობს .იცით, რომ ეს არის რთული საკითხი, გეოლოგიური დასკვნები გვაქვს, მაგრამ არის შემთხვევები სამწუხაროდ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინასო- საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს: ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს ხელმძღვანელის ეკა შავიძე ანგარიში ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, რომელმაც დაავალა მომხსენებელს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს განმარტება სხვადასხვა ხარჯებთან დაკავშირებით, თუ რაში

დაიხარჯება ეს თანხა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს კომისიებს.

მოისმინეს: ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „

ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის ფრაქციიდან გასვლის შესახებ განცხადებების თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხის 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 11 წევრი:

მომხრე 11

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს 2022 წლის 5 დეკემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 05 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 5 დეკემბრის

მორიგი სხდომის

დღის წესერიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური .ცენტრი“ -ს ხელმძღვანელის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

   მომხს: ეკა შავიძე

3. ხარაგაულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N69.692133720 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს. ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - ს წევრების ეკატერინე შველიძისა და ავთანდილ ვეფხვაძის განცხადების განხილვა ფრაქციიდან გასვლის შესახებ

   მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე